საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 193/ს
11/07/2022

193-21-4-202207111052

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარებისა და წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 1.6 და 9.9 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყალწმინდაში შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ 50 000 მ³ საერთო მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარებისა და წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 32;
2. შპს „გურია ფიშ ფარმინგი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 32 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გურია ფიშ ფარმინგს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გურია ფიშ ფარმინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო